



კიბოს პოპულაციური რეგისტრის სამი წლის შედეგები

საქართველო

2015–2017

წინასიტყვაობა

ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვების მიზნით, 2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგანაც ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს და ის დანერგილია ყველა განვითარებულ და მრავალ განვითარებად ქვეყანაში..

კიბოს რეგისტრის შემოღებამ შეცვალა მონაცემთა შეგროვების ტექნოლოგია - დაინერგა პერსონიფიცირებულ მონაცემთა სისტემა; რეგისტრი სამი წლის განმავლობაში ვითარდებოდა, მონაცემთა ხარისხი და მოცვა უმჯობესდება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული გამოწვევები, რაც მომავალი საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს კიბოს პოპულაციური რეგისტრის 2015-2017 წლების მონაცემების ანალიზს.

I.	კიბოს რეგისტრის 2015-2017 წლების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები	4
II.	კიბოს რეგისტრის ამოქმედებასთან დაკავშირებული მიღწევები.....	8
II.1	სტატისტიკის გაუმჯობესება.....	8
II.2	ანალიზის შესაძლებლობების გაზრდა	8
II.3	მკურნალობის პროცესზე ზედამხედველობა	8
II.4	გეოგრაფიული გავრცელების შესაძლებლობა	9
III.	კიბოს რეგისტრის წარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევები.....	10
III.1	ანგარიშგების ხარისხი.....	10
III.2	კადრების სიმცირე და პროფესიონალიზმი	10
III.3	გადარჩენადობის მაჩვენებელი	11
IV.	კიბოს გავრცელების გლობალური და ეროვნული მონაცემები.....	12
IV.1	კიბოს გლობალური ტვირთი	12
IV.2	კიბოს გავრცელება საქართველოში	14
IV.3	შემთხვევების განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით	16
IV.4	სტადიურობა	19
V.	ლოკალიზაცია.....	21
V.1	ქალებში 5 ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბო.....	21
V.1.1	სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში	22
V.1.2	ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში.....	24
V.1.3	კოლორექტული კიბო ქალებში.....	27
V.1.4	საშვილოსნოს ტანის კიბო.....	28
V.1.5	საშვილოსნოს ყელის კიბო	29
V.2	კაცებში 5 ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბო	32
V.2.1	ფილტვის კიბო კაცებში.....	32
V.2.2	შარდის ბუშტის კიბო კაცებში.....	34
V.2.3	წინამდებარე ჯირკვლის კიბო.....	36
V.2.4	კოლორექტული კიბო კაცებში	37
V.2.5	კუჭის კიბო კაცებში.....	39
VI.	კიბოს გავრცელება 15-დან 19 წლის ჩათვლით მოზარდებში	41
VII.	კიბოს გავრცელება 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებში	43
VIII.	ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	45
IX.	კიბოს რეგიონული გავრცელება	45
დანართი 1		52
დანართი 2		54

მოკლე რეზიუმე

I. კიბოს რეგისტრის 2015-2017 წლების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

1. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა (in situ სიმსივნეების ჩათვლით) 2015-2017 წლებში 8700-11000-ის ფარგლებში მერყეობს შესაბამისად. 2017 წელს სულ რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 8731 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე - 234.8.
2. თითქმის ყველა ლოკალიზაციის კიბოს ინციდენტობა, როგორც ქალებში, ასევე კაცებში, ნაკლებია ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით და უახლოვდება დსთ-ს საშუალო მაჩვენებელს.
3. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 56-57% აღირიცხა ქალებში, 44-43% - კაცებში.
4. ახალი შემთხვევების ~70% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფში - 30 წლიდან 70 წლამდე, ხოლო შემთხვევათა დაახლოებით მეოთხედში - 70 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის შემთხვევათა 1%. რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების წილი 24-27%-ს შეადგენს.
5. ქალებში კიბოს 5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაცია: სარძევე ჯირკვალი, ფარისებრი ჯირკვალი, კოლორექტუმი, საშვილოსნოს ტანი, საშვილოსნოს ყელი.
6. ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალ შემთხვევებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მეორე ადგილი უკავია. ზოგადად ყველა ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევების რაოდენობის კლების ფონზე, 2015 წლიდან ქალებში რეგისტრირებული ფარისებრი ჯირკვლის კიბოს როგორც შემთხვევათა რაოდენობა, ასევე ინციდენტობის მაჩვენებელმა 100000 ქალზე (2015 - 33.5, 2016 - 42.8, 2017 – 40.8) მოიმატა. ასევე 10%-დან 15%-მდე გაიზარდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალ შემთხვევებში. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბო რეგისტრირებულია თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. 2017 წელს, 25 წლამდე ახალგაზრდა გოგონებში რეგისტრირებული ფარისებრი ჯირკვლის 55 ახალი შემთხვევა (2015 წელს - 41, 2016 წელს - 50), რაც 25 წლამდე ასაკის გოგონებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 50%-ს შეადგენს. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მატება ქალებში ზოგადად ესადაგება მსოფლიო ტენდენციებს, რაც გარკვეულწილად შეიძლება უკავშირდებოდეს დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების განვითარებას.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი (ფჯკ) ავადობის უწყვეტი ზრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვლინდება, თანაც, მატება ძირითადად შეეხება ქალთა პოპულაციას. მსოფლიოში ავადობის ზრდას ადგილი აქვს სიკვდილიანობის არამდგრადი შემცირების ფონზე ორივე სქესისთვის. განარჩევენ ფჯკ-ს ოთხ ჰისტოლოგიურ ჯგუფს: პაპილარული, ფოლიკულური, მედულარული ან ანაპლასტიკური; ფჯკ-ს ავადობის მატებას უმეტესწილად განაპირობებს პაპილარული (არააგრესიული, რომელსაც ახასიათებს ნელი ზრდა) მიკროკაცინომას ჰისტოლოგიური ტიპის გამოვლენის მატება, რომელიც საუკეთესო პროგნოზით გამოირჩევა.

მაღალი ავადობის ქვეყნებად მიიძღნევა ის ქვეყნები, სადაც ქალთა შორის ავადობა 100000 ქალზე 10-ს შეადგენს, საქართველოში კიბოს პოპულაციური რეგისტრის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 39-ს 100000 ქალზე (2016); გლობალურად ფჯკ-ს

თანაფარდობა მამაკაცი/ქალი დაახლოებით 1:3,3-ს შეადგენს, საქართველოში დისბალანსი ბევრად მეტია, დაახლოებით 1:6.

ექსპერტთა მოსაზრებით, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოვლენის გაუმჯობესება არ უნდა ჩაითვალოს ავადობის ზრდის ერთადერთ მიზეზად; ფჯკ-ს ავადობის მატება სავარაუდოდ, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ორ თანაარსებულ პროცესთან: გაზრდილი გამოვლენა და შემთხვევების რეალური ზრდა დღემდე უცნობი თიროიდ-სპეციფიკური გარემოს კარცინოგენების გააქტიურების ხარჯზე (რომელთა იდენტიფიცირება და მათი როლის შეფასება დღემდე ვერ ხერხდება).¹ როდესაც გამოვლენის გაუმჯობესება ავადობის ზრდის ერთადერთი მიზეზია, მაშინ მოსალოდნელია, რომ ავადობის მატება ყველა ასაკობრივ და სქესობრივ კატეგორიებში თანაბრად მოხდება. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევაში ასე არ არის, ვლინდება განსხვავებული მატება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

რეკომენდაცია: ფარისებრი ჯირკვლის კიბო საქართველოში დარგის ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტთა განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს.

7. კაცებში კიბოს 5 ყველაზე ხშირი ლოკალიზაცია: ფილტვი, წინამდებარე ჯირკვალი, შარდის ბუშტი, კოლორექტუმი, კუჭი (ბოლო 2 წელი).
8. დაავადების I და II სტადიაზე ორივე სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების ~40%; III და IV სტადიებზე - ~50%, ხოლო დანარჩენ 10%-ში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული სქესისა და ლოკალიზაციის მიხედვით:

ქალებში:

- ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების მხოლოდ 50%, ხოლო საშვილოსნოს ტანის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 70%-ზე მეტი გამოვლენილია დაავადების I და II სტადიაზე; კოლორექტული კიბოს ახალი შემთხვევების 60%-ზე მეტი გამოვლენილია დაავადების III და IV სტადიაზე.

კაცებში:

- I და II სტადიაზე რეგისტრირებულია ფილტვის კიბოს ახალი შემთხვევების მხოლოდ 10%-მდე, ხოლო 60%-ზე მეტი - დაავადების IV სტადიაზე; კაცებში შარდის ბუშტის კიბოს შემთხვევების უმეტესობა გამოვლინდა დაავადების I და II სტადიაზე; წინამდებარე ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების 50%-ზე მეტი შემთხვევა დიაგნოსტირდება III და IV სტადიაზე სტადიაზე; კაცებში კოლორექტული კიბოს და კუჭის კიბოს ახალი შემთხვევების 70% -მდე გამოვლენილია დაავადების III და IV სტადიაზე.

რეკომენდაცია: საჭიროა მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა კიბოს სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ, ამასთან, მაღალი ონკოლოგიური სიფხიზლე (ცოდნა ადრეული სიმპტომების შესახებ) იმ ლოკალიზაციის კიბოს შესახებ, რომელთა სკრინინგი არ ტარდება, თუმცა ფართოდ არის გავრცელებული; საჭიროა სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ექსპერტების დონეზე განხილვა და ფორმატის შეცვლა, ასევე სკრინინგის განხორციელებაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის მეტი ჩართულობა.

კიბოს დიაგნოსტიკა. რეგისტრის მონაცემებით, გამოვლენილი შემთხვევების 89%-ში დიაგნოზი დადასტურებული იყო ჰისტომორფოლოგიურად ან ციტოლოგიურად.

¹ Vigneri R, Malandrino P, Vigneri P. The changing epidemiology of thyroid cancer: why is incidence increasing? Cur Opin Oncol. 2015 Jan;27(1):1-7

საქართველოს პათოლოგთა და ციტოლოგთა ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში მოფუნქციონირე ლაბორატორიების 60% გადასულია მუშაობის სრულ, ავტომატურ რეჟიმზე, 20% ნაწილობრივ ავტომატური რეჟიმით ამუშავებს მასალას, ხოლო 20% ჯერ კიდევ რჩება მასალის დამუშავების მანუალურ რეჟიმში (2014 წელს ავტომატურ რეჟიმზე მუშაობდა ლაბორატორიების 30%, ხოლო დანარჩენი მანუალური რეჟიმით). ახალგაზრდა პათოლოგ-ანატომების მომზადების თვალსაზრისით ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სარეზიდენტო პროგრამის რაოდენობრივი ქვოტა გაიზარდა, წლიურად შვიდ რეზიდენტამდე (2014 წელს აღნიშნული ქვოტა ერთ რეზიდენტს შეადგენდა). პირველად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს პათოლოგთა და ციტოლოგთა ასოციაციის მხარდაჭერით შეიმუშავა ბრძანება ჰისტოპათოლოგიური ლაბორატორიების აუცილებელი სერთიფიცირების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლიდან. ასევე საქართველოში, პირველად სერთიფიცირების პირობებში, გათვალისწინებულია ლაბორატორიული საქმიანობისა და დიაგნოსტიკის ხარისხის კონტროლის აუცილებელი არსებობა.

რეკომენდაცია: პათოლოგ-ანატომიური დიაგნოსტიკის რეგიონული ხელმისაწვდომობის ზრდისადმი მხარდაჭერა.

9. კიბოს მკურნალობა. ამერიკის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით² (გათვლებისთვის გამოყენებულია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) მიერ მოწოდებული მეთოდოლოგია), საქართველოში კიბოს ახალი შემთხვევების 51% საჭიროებს ქირურგიულ მკურნალობას, 72% ქიმიოთერაპიას, ხოლო 57% რადიოთერაპიას. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, ქირურგიული მკურნალობა ჩატარდა ახალ შემთხვევათა 55%-ში, მედიკამენტური თერაპია - 18%-ში, რადიოთერაპია - 11%-ში.

კიბოს ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, ქვეყნების მიხედვით კიბოს ახალი შემთხვევების ხვედრითი წილი, რომლებიც საჭიროებს სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებას, შემდეგნაირია:

ქვეყანა	ქირურგიული ჩარევა (%)	ქიმიოთერაპია (%)	რადიოთერაპია (%)
სომხეთი	42	67	52
ბელარუსი	51	70	55
ლიტვა	51	75	60
მოლდოვა	65	74	59
რუსეთი	51	70	55
უზბეკეთი	42	71	56
თურქეთი	51	75	60
დიაპაზონი (ყველა აღნიშნული ქვეყანა)	42–65	67–75	52–60

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქვეყნების მიხედვით ქირურგიული ჩარევის საჭიროების თვალსაზრისით მაღალი ვარიაცია ვლინდება. ქირურგიული ჩარევის საჭიროება, თავის მხრივ,

² Human Resources Needed for Cancer Control in Low & Middle Income Countries. National Cancer Institute. Radiation Research Program

კორელაციაშია კიბოს სტადიასთან გამოვლენის მომენტში – ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევის საჭიროება მაღალია.

დღეისათვის საქართველოში რადიოთერაპიის რამდენიმე დეპარტამენტი ფუნქციონირებს შესაბამისი აღჭურვილობით, პერსონალითა და ხარისხის კონტროლით. რადიოთერაპიის მიზნით გამოყენებული წრფივი ამაჩქარებლების დიდი ნაწილი თავმოყრილია თბილისში: 7 წრფივი ამაჩქარებელი, ოთხი ბრაქიტერაპიის აპარატი და ორი კობალტის აპარატი. დამატებით, ორი წრფივი ამაჩქარებელი ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოს ორ დიდ ქალაქში – ქუთაისსა და ბათუმში, რაც რადიოთერაპიის რეგიონალურ ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. ბირთვული მედიცინის ფარგლებში ყველა სახის მომსახურება ხელმისაწვდომია საქართველოში ონკოლოგიური პაციენტებისთვის: კონვენციური ნუკლეარული დიაგნოსტიკა ტექნეციუმის Tc-99m გამოყენებით, რადიოთერაპია და პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია (პეტ-სკანირება).

რეკომენდაცია:

- საჭიროა მკურნალობის ეფექტური მეთოდების (ქიმიო- და რადიოთერაპია) უტილიზაციის და მასზე მოქმედი ფაქტორების შეფასება.
- კოორდინაცია ექსპერტთა პანელთან მკურნალობის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- კოორდინაცია საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამასთან (ჩატარებული მკურნალობის მონაცემთა შედარება).

10. **გეოგრაფიული გავრცელების თავისებურებები.** ქვეყანაში კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე 241-ს შეადგენს. 18 მუნიციპალიტეტში მაჩვენებელი ქვეყნის მაჩვენებელს აღემატება - მაქსიმალური ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებლები დაფიქსირდა ოზურგეთის (370) და ახალციხის (344) მუნიციპალიტეტებში. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში კიბოს სტრუქტურა სქესის და ლოკალიზაციის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება საქართველოს სტრუქტურისგან.

რეკომენდაცია: კიბოს რეგისტრის მონაცემთა დაგროვების (სულ მცირე 5 წელი) შემდეგ, როდესაც შესაძლებელი გახდება გადარჩენის მაჩვენებლების დათვლა, ასევე საყოველთაო ჯანდაცვის მონაცემებთან შედარების საფუძველზე, შედარებით ჩაღრმავებული ანალიზის ჩატარება

II. კიბოს რეგისტრის ამოქმედებასთან დაკავშირებული მიღწევები

II.1 სტატისტიკის გაუმჯობესება

კიბოს რეგისტრის მნიშვნელობას განსაზღვრავს კიბოს გავრცელების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის არსებობა, რაც კიბოზე კონტროლის გაუმჯობესების, ეპიდემიოლოგიური კვლევებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების დაგეგმვის, პრევენციული და მკურნალობის მეთოდების შეფასების საშუალებას იძლევა. რეგისტრის ამოქმედებამდე საქართველოში კიბოს შესახებ მონაცემთა შეგროვება მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა, რაც იწვევდა ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების რეალური სურათის დამახინჯებას. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო (IARC) და ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი (IHME), ახორციელებენ სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის კიბოს, გავრცელების შეფასებითი მაჩვენებლების გამოთვლას სხვადასხვა ქვეყნებისთვის. საქართველოსთვის ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების სიხშირე შეფასებული იყო როგორც დაახლოებით 280 შემთხვევა 100000 მოსახლეზე, თუმცა 2015 წლამდე ქვეყანაში აღირიცხული ახალი შემთხვევების მიხედვით ავადობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე მხოლოდ 140 შემთხვევას შეადგენდა). კიბოს რეგისტრის დანერგვამ და მონაცემთა შეგროვების კონცეფციის ცვლილებამ გამოიწვია მკვეთრი სხვაობები წინა წლებში და რეგისტრის მეშვეობით აღრიცხულ შემთხვევათა შორის და ინციდენტობის მაჩვენებლები გაუტოლდა შეფასებით მაჩვენებლებს. აღნიშნული განპირობებული იყო არა შემთხვევების მატებით, არამედ რეგისტრაციის გაუმჯობესებით.

რეკომენდაცია: საჭიროა მონაცემთა შეგროვების, მათ შორის მოცვის, მონიტორინგი, ადგილებზე გასვლა, ადამიანური რესურსის გადამზადების უზრუნველყოფა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ონკოლოგიური კომპონენტის მონაცემებთან შედარება და სხვა.

II.2 ანალიზის შესაძლებლობების გაზრდა

კიბოს რეგისტრში შედის პერსონიფიცირებული მონაცემები, რაც გაფართოებული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: პაციენტის სქესი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სერვისის მიღების ადგილი, სერვისის მიღების დაწესებულება; სიმსივნის ლოკალიზაცია, მორფოლოგია, დიფერენციაციის ხარისხი, სტადია, კონფირმაციის ტიპი, მკურნალობის მეთოდი/მეთოდები, გამოსავალი.

რეკომენდაცია: ანალიტიკური სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ექსპერტთა პანელი, რომელშიც შევლენ როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები, ასევე კლინიცისტები.

II.3 მკურნალობის პროცესზე ზედამხედველობა

კიბოს პოპულაციური რეგისტრის განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს თითოეული დაავადებულის მკურნალობის ეტაპების ზედამხედველობის შესაძლებლობა დროის განმავლობაში, რაც მკურნალობის ეფექტურობის ანალიზის საფუძველს იძლევა. რეგისტრში თითოეულ პაციენტს მიეკუთვნება ცალკე ფანჯარა, რომელიც მოიცავს მის შესახებ მონაცემებს. მკურნალობის ყოველი შემდგომი ეტაპი იტვირთება პაციენტის ფანჯარაში, რაც შესაძლებელს

ხდის მკურნალობის სრულ კურსზე ზედამხედველობას მკურნალობის მეთოდისა და ვადების მიხედვით.

რეკომენდაცია: ზედამხედველობის შესაძლებლობიდან გამომდინარე, დამყარდეს მუდმივი მონიტორინგი და მონაცემთა შედარება.

II.4 გეოგრაფიული გავრცელების შესაძლებლობა

კიბოს პოპულაციური რეგისტრის მეშვეობით, პირველად გახდა შესაძლებელი კიბოს ტვირთის შეფასება გეოგრაფიულ ჭრილში, საცხოვრებელი ადგილის, და არა სამედიცინო მომსახურების მიღების მიხედვით.

რეკომენდაცია: ჩაღრმავებული ანალიზის ჩატარება გარემოს და სხვა ფაქტორების ზემოქმედების გამოვლენის მიზნით.

III. კიბოს რეგისტრის წარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევები

III.1 ანგარიშგების ხარისხი

რეგისტრის მონაცემებით, ყოველ წელს აღინიშნება ახალი შემთხვევების რაოდენობის კლება. ერთი მხრივ, ეს აიხსნება აღრიცხვიანობის ახალი სისტემის დანერგვისას მოსალოდნელი ხარვეზებით - პირველ წელს შემთხვევათა გარკვეული რაოდენობა რეგისტრირებული იყო როგორც ახალი, თუმცა დიაგნოზი წინა წლებში იყო დასმული, რაც თავისთავად ზრდიდა შემთხვევების რაოდენობას. ასევე შესაფასებელია, თუ რამდენად არის ყველა შემთხვევა მოწოდებული რეგისტრში პროვაიდერების მიერ, რაც მიზანშეწონილს ხდის ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმის შემუშავებას და განხორციელებას.

რეკომენდაცია:

- ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის მონიტორინგის და ვალიდურობის შეფასების მექანიზმის შემუშავება.
- მოცვის შეფასების მიზნით, შესაძლებელია რეგისტრის მონაცემები შედარდეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ნამკურნალები პაციენტების მონაცემებს.

მონაცემები კიბოს შესახებ გროვდება ქაღალდის ფორმების მეშვეობით. შესაბამისად, გამორიცხულია ყველანაირი ვალიდაციის არსებობა, ხშირია შეცდომები, რომელიც უყურადღებოებით, სიჩქარით და მოტივაციის ნაკლებობით არის გამოწვეული. ასევე გამოვლინდა შეცდომები, რომელიც ასახავს პროვაიდერების ცოდნის ხარვეზებს, მაგალითად, სტადიის შეცვლა.

რეკომენდაცია:

- ანგარიშგების სისტემის ელექტრონიზაცია, რომელიც იძლევა არა მარტო ვალიდაციების, არამედ სხვა ელექტრონულ მოდულებთან სინქრონიზაციის შესაძლებლობას (კიბოს რეგისტრის ელექტრონიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მოდულში 2018 წლიდან ჩაირთვება სკრინინგის კომპონენტი).
- პროვაიდერების გადამზადება.

III.2 კადრების სიმცირე და პროფესიონალიზმი

კიბოს პოპულაციურ რეგისტრზე სრული დატვირთვით მუშაობს 3 რეგისტრატორი, ხოლო პერიოდულად ამ პროცესში ერთვება კიდევ 2 სპეციალისტი. მაგალითისთვის: ჰოლანდიის კიბოს რეგისტრის ცენტრის რეკომენდაციით, წელიწადში 5000-6000 ახალ შემთხვევის პირობებში მხოლოდ რეგისტრაციისთვის საჭიროა სრული დატვირთვით მომუშავე 6-7 რეგისტრატორი. მონაცემთა ანალიზის ჯგუფში ფუნქციონირებს 5 ადამიანი, რომლებიც ყველა დაავადების სტატისტიკურ ანალიზის აწარმოებენ, მათ შორის კიბოს სტატისტიკასაც. შედარებისთვის: ჰოლანდიაში კიბოს რეგისტრის აღრიცხვიანობაში დაკავებულია 30-ზე მეტი ადამიანი, ნორვეგიაში - 170, მათ შორის 20 IT სპეციალისტი, იზმირში - 26, მათ შორის 20 რეგისტრატორი.

III.3 გადარჩენის მაჩვენებელი

კიბოს რეგისტრში გროვდება მხოლოდ ახალი შემთხვევები, რაც ჯერჯერობით არ გვამლევს 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებლის გამოთვლის შესაძლებლობას. სისტემის ფუნქციონირების პირველი წლების ხარვეზების გათვალისწინებით, ვალიდური 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი გამოითვლება 2020-2021 წლებში.

სამომავლო გეგმები

1. კიბოს რეგისტრის ელექტრონიზაცია
2. მონაცემთა შეგროვების ხარისხის გაუმჯობესება, მონიტორინგი მონაცემთა ხარისხსა და მოცვაზე
3. კიბოს რეგისტრის მონაცემების შედარება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონაცემებთან
4. კიბოს სკრინინგით მოცული ბენეფიციარების მონაცემთა შედარება რეგისტრის მონაცემებთან
5. მკურნალობის პერსონალიზებული მიდგომების კიბოს რეგისტრში ასახვა - იმუნოჰისტოქიმიური კვლევების ბიომარკერების მონაცემების დამატება
6. ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდა
7. კიბოს ეროვნული სტრატეგიის პროექტის განახლება და მომზადება დასამტკიცებლად
8. დარგის დამოუკიდებელ ექსპერტთა პანელის ჩამოყალიბება
9. კიბოს საერთაშორისო ცენტრებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება
10. კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოში გაწევრიანება

IV. კიბოს გავრცელების გლობალური და ეროვნული მონაცემები

IV.1 კიბოს გლობალური ტვირთი

- ონკოლოგიური დაავადებები მსოფლიოში ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს – 2015 წელს, ონკოლოგიური დაავადებების 17.5 მილიონი ახალი შემთხვევა გამოვლინდა. 2005-2015 წლებში ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევები 33%-ით გაიზარდა, აქედან 16% გაპირობებული იყო მოსახლეობის დაბერებით, 13% - მოსახლეობის ზრდით, ხოლო 4% – ასაკ-სპეციფიკური მაჩვენებლის ზრდით, რაც რისკის-ფაქტორების ინტენსივობის ზრდას უკავშირდება³.
- არსებული პროგნოზებით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა 70%-ით გაიზრდება.
- მსოფლიოში სიკვდილის მიზეზთა შორის კიბო მეორე ადგილს იკავებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ. 2015 წელს კიბოთი გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობამ 8.8 მლნ შეადგინა.
- კიბოთი გარდაცვალების შემთხვევათა 70% დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში აღირიცხება.
- შემთხვევათა დაახლოებით ერთ მესამედში კიბოთი გამოწვეული სიკვდილი განპირობებულია რისკის ხუთი ძირითადი ფაქტორით, რაც ქცევას და კვებით რაციონს უკავშირდება. ეს არის სხეულის მასის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი, ხილისა და ბოსტნეულის მოხმარების დაბალი დონე, ფიზიკური აქტივობის არარსებობა, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება.
- თამბაქოს მოხმარება რისკ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია - მასზე კიბოთი გარდაცვალების შემთხვევების 22% მოდის .
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიბოს ახალი შემთხვევების 25% განპირობებულია კიბოს გამომწვევი ისეთი ინფექციებით, როგორიცაა ჰეპატიტი და ადამიანის პაპილომა ვირუსი.
- 2015 წელს, გლობალურად, ათი ძირითადი ლოკალიზაციის კიბოს წარმოადგენდა ძუძუს, ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის, კოლორექტალური, პროსტატის, კუჭის, ღვიძლის, არა-ჰოჯკინის ლიმფომა, ლეიკემია, შარდის ბუშტის და საშვილოსნოს ყელის კიბო
- ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემა დაავადების გვიან სტადიაზე მიმართვა და დიაგნოსტიკის ხელმიუწვდომლობაა. 2015 წელს დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ 35%-ს გააჩნდა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ონკოლოგიური სერვისები სახელმწიფო სექტორში. შესაბამისი სამედიცინო მომსახურება არსებობს მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების 90%-ში.
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების მხოლოდ ერთ მეხუთედს გააჩნია მონაცემები ონკოლოგიურ დაავადებათა სფეროში პოლიტიკის შესამუშავებლად.

მამაკაცთა შორის ონკოლოგიურ დაავადებათა გავრცელების თავისებურებები გლობალურად (2015):

- ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა (ASIR) 100 000 მამაკაცზე შეადგენდა: 304.6
- ყველაზე მაღალი ინციდენტობის ათი ლოკალიზაციის კიბო: პროსტატის (ASIR=56.7), ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (ASIR=46.1), კოლორექტალური (ASIR=30.9), კუჭის (ASIR=29.2), ღვიძლის (ASIR=18.6), შარდის ბუშტის (ASIR=14.1), არა-ჰოჯკინის

³ Global, Regional, and National Cancer Incidence, Mortality, Years of Life Lost, Years Lived with Disability, and Disability Adjusted Life Years for 32 Cancer Groups, 1990 to 2015. A systematic Analysis for the GBD Study. JAMA Oncol. 2017; 3 (4):524-548

ლიმფომა (ASIR=11.7), ხორხის კიბო (ASIR=11.6), ლეიკემია (ASIR=10.8) და თირკმლის კიბო (ASIR=8.6).

- ახალი შემთხვევის 42%-ს სამი ლოკალიზაციის კიბო შეადგენდა: პროსტატის (1.6 მილიონი), ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (1.4 მილიონი) და კოლორექტალური კიბო (920 000 შემთხვევა).
- კიბოთი გამოწვეული ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობა 100 000 მამაკაცზე შეადგენდა: 170.7.
- ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მიხედვით ლიდერობდა: ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (ASDR=41.0), კუჭის (ASDR=18.3), ღვიძლის (ASDR=18.2), კოლორექტალური (ASDR=15.9), პროსტატის კიბო (ASDR=14.2).
- კიბოთი სიკვდილიანობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები იყო ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (1.21 მილიონი შემთხვევა), ღვიძლის (577 000 შემთხვევა) და კუჭის კიბო (535 000 შემთხვევა).
- ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული DALY-ის წამყვანი მიზეზები იყო: ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (25.9 მილიონი), ღვიძლის (15.4 მილიონი) და კუჭის კიბო (11.7 მილიონი).

ქალთა შორის ონკოლოგიურ დაავადებათა გავრცელების თავისებურებები გლობალურად (2015):

- ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობა 100 000 ქალზე შეადგენდა 229.2-ს.
- ყველაზე მაღალი ინციდენტობის ათი ლოკალიზაციის კიბოს წარმოადგენდა: ძუძუს (ASIR=65.5), კოლორექტალური (ASIR=20.8), ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (ASIR=18.2), საშვილოსნოს ყელის (ASIR=14.3), საშვილოსნოს ტანის (ASIR=12.6), კუჭის (ASIR=12.5), არა-ჰოჯკინის ლიმფომა (ASIR=8.1), ღვიძლის (ASIR=7.5), ლეიკემია (ASIR=7.1) და საკვერცხის კიბო (6.9).
- კიბოს ახალი შემთხვევის 46%-ს შემდეგი სამი ლოკალიზაციის კიბო შეადგენდა: ძუძუს (2.4 მილიონი შემთხვევა), კოლორექტალური (733 000 შემთხვევა), ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის კიბო (640 000 შემთხვევა).
- კიბოთი გამოწვეული ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობა 100 000 ქალზე შეადგენდა: 103.5
- ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მიხედვით ლიდერობდა: ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (ASDR=14.7), ძუძუს (ASDR=14.6), კოლორექტალური (ASDR=10.7), კუჭის (ASDR=8.1). მეხუთე ადგილზე სიკვდილიანობის თანაბარი მაჩვენებლებით (ASDR=6.6) საშვილოსნოს ყელის და ღვიძლის კიბოა.
- კიბოთი სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი იყო ძუძუს (523 000 შემთხვევა) ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (517 000 შემთხვევა) და კოლორექტალური კიბო (376 000 შემთხვევა).
- ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული DALY წამყვანი იყო: ძუძუს (15.1 მილიონი) ტრაქეის, ბრონქებისა და ფილტვის (10.5 მილიონი) და კოლორექტალური კიბო (7.2 მილიონი).

IV.2 კიბოს გავრცელება საქართველოში

კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემებით, 2015-2017 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობა (in situ სიმსივნეების ჩათვლით) 8700-11000-ის ფარგლებში მერყეობდა.


ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევები, საქართველო, 2015-2017

	2015	2016	2017 ⁴
შემთხვევათა რაოდენობა	10831	10402	8731
ინციდენტობა 100000 მოსახლეზე	291.6	279.6	234.3

კიბოს პოპულაციური რეგისტრით მიღებული მონაცემები შეესაბამება კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს შეფასებებს.

საქართველოში ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობა ნაკლებია, ვიდრე ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები. ევროპის რეგიონში ონკოლოგიურ დაავადებათა მაღალი ავადობა და სიკვდილიანობა მოსახლეობის დაბერებით (მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდით) აიხსნება.

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობა 100000 მოსახლეზე⁵




წყარო: ჯანმო-ს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დეკჯეც

⁴ 2017 წლის ყველა მაჩვენებელი დათვლილია 2017 წლის 1 იანვრის მოსახლეობაზე.

⁵ კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, მხოლოდ იმ გრაფიკებში, სადაც საქართველო შედარებულია სხვა ქვეყნებს, არ გამოიყენება კანის სხვა კიბო (მელანომას გარდა) და in situ სიმსივნეების მონაცემები.

კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე




წყარო: ჯანმო-ს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“

V. შემთხვევების განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით

2015-2017 წლებში ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 56-57% ქალებში, 44-43% კი კაცებში აღირიცხა.


როგორც ქალებში, ასევე კაცებში ყველა ლოკალიზაციის კიბოს ინციდენტობის მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის რეგიონის, ევროკავშირის და დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები.

ყველა ლოკალიზაციის კიბო ქალებში, ახალი შემთხვევები 100000 ქალზე



წყარო: ჯანმო-ს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

ყველა ლოკალიზაციის კიბო კაცებში, ახალი შემთხვევები 100000 კაცზე




წყარო: ჯანმო-ს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯეც

ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების ~70% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფში - 30 წლიდან 70 წლამდე, ხოლო შემთხვევათა დაახლოებით მეოთხედში - 70 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში. 0-დან 15 წლამდე და 15-დან 20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის შემთხვევათა 1%.

წინამდებარე ანგარიშში მოყვანილია როგორც ახალი შემთხვევების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ასევე ასაკ-სპეციფიური ინციდენტობის მაჩვენებლები ანუ თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის ახალი შემთხვევების რაოდენობა, გაყოფილი ამავე ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობაზე, რის საფუძველზეც შესაძლებელია შეფასდეს აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის კიბოს რისკი.

ყველა ლოკალიზაციის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა, ორივე სქესი, საქართველო, 2015-2017




ყველა ლოკალიზაციის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით, საქართველო, 2015-2017

ასაკობრივი ჯგუფი	კაცი		ქალი	
	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)
2015				
0-4	21	0.4	15	0.2
5-9	10	0.2	20	0.3
10-14	13	0.3	12	0.2
15-19	27	0.6	24	0.4
20-24	27	0.6	47	0.8
25-29	53	1.1	104	1.7
30-34	63	1.3	160	2.6
35-39	86	1.8	229	3.8
40-44	122	2.5	371	6.1
45-49	249	5.2	502	8.3
50-54	478	10.0	676	11.2


55-59	642	13.4	800	13.2
60-64	776	16.2	824	13.6
65-69	694	14.5	694	11.5
70-74	568	11.9	542	9.0
75-79	621	13.0	592	9.8
80+	338	7.1	431	7.1
სულ	4788	100	6043	100
2016				
0-4	22	0.5	24	0.4
5-9	11	0.2	10	0.2
10-14	15	0.3	10	0.2
15-19	23	0.5	20	0.3
20-24	28	0.6	65	1.1
25-29	47	1.0	116	2.0
30-34	61	1.4	230	3.9
35-39	106	2.4	234	4.0
40-44	144	3.2	412	7.0
45-49	228	5.1	476	8.1
50-54	389	8.6	664	11.3
55-59	597	13.3	803	13.6
60-64	731	16.2	750	12.7
65-69	770	17.1	760	12.9
70-74	440	9.8	399	6.8
75-79	554	12.3	515	8.7
80+	339	7.5	409	6.9
სულ	4505	100	5897	100
2017				
0-4	15	0.4	11	0.2
5-9	9	0.2	6	0.1
10-14	9	0.2	14	0.3
15-19	15	0.4	31	0.6
20-24	19	0.5	57	1.2
25-29	49	1.3	107	2.2
30-34	64	1.7	175	3.5
35-39	71	1.9	237	4.8
40-44	132	3.5	312	6.3
45-49	176	4.6	399	8.1
50-54	316	8.3	491	9.9
55-59	545	14.4	596	12.1
60-64	610	16.1	694	14.1
65-69	654	17.2	620	12.6
70-74	383	10.1	380	7.7
75-79	424	11.2	461	9.3
80+	303	8.0	346	7.0
სულ	3794	100	4937	100

რეპროდუქციული ასაკის (15-49 წელი) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების წილი 24-27%-ს შეადგენს.

ყველა ლოკალიზაციის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების ასაკ-სპეციფიური მაჩვენებელი და %-ული წილი კაცებში, საქართველო, 2017



ყველა ლოკალიზაციის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების ასაკ-სპეციფიური მაჩვენებელი და %-ული წილი ქალებში, საქართველო, 2017




V.1 სტადიურობა⁶

კიბოს რეგისტრის მონაცემების მიხედვით, 2015-2017 წლებში დაავადების I და II სტადიაზე რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 39.5%; III და IV

⁶ სტადიურობის გამოთვლისას არ არის გათვალისწინებული ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ახალწარმონაქმნები

სტადიებზე რეგისტრირებული დაავადებების წილი კვლავ მაღალია და 2015-2017 წლებში ავთვისებიანი სიმსივნეების მთლიან რაოდენობაში 49.2% შეადგენს; 11.3%-ში სტადია არ იყო იდენტიფიცირებული.

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება დაავადების სტადიის მიხედვით (%), საქართველო, 2015-2017



ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება დაავადების სტადიის მიხედვით, საქართველო, 2015-2017

სტადია	2015	2016	2017
I	19.3%	22.4%	22.7%
II	19.3%	17.6%	17.5%
III	23.2%	21.6%	20.6%
IV	28.7%	27.2%	25.8%
უცნობი/შეუვსებელი	9.5%	11.2%	13.4%
სულ	100%	100%	100%

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტალური კიბოს სკრინინგი (ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი თბილისში დანერგულია 2008 წლიდან, ხოლო 2011 წლიდან მითითებული ლოკალიზაციის კიბოს სკრინინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით), ასევე პროსტატის კიბოს მართვა, 2016 წელს აღნიშნული ლოკალიზაციის ონკოლოგიურ დაავადებათა პირველ და მეორე სტადიაზე გამოვლენილ შემთხვევათა ხვედრითი წილი შეადგენს მხოლოდ 52.3%, 55.3%, 27.5% და 34%-ს შესაბამისად, რაც გაპირობებულია კიბოს სკრინინგით დაბალი მოცვის მაჩვენებლებით.

კიბოს სკრინინგით მოცვის მაჩვენებლები კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2014-2016

კიბოს ლოკალიზაცია	მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებელი (%)					
	თბილისი			დანარჩენი რეგიონები		
	2014	2015	2016	2014	2015	2016
ძუძუ	15	16	18	7.4	7.3	9.2
საშვილოსნოს ყელი	16	16	18	8.7	9.3	11.5
პროსტატა	4	6	5	2.3	3.6	3.3
კოლორექტალური	1	1	3	1.0	2.0	1.6

VI. ლოკალიზაცია

კიბოს ახალი შემთხვევების რაოდენობრივი მაჩვენებლები ლოკალიზაციის მიხედვით განსხვავდება ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში.

ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება ლოკალიზაციის მიხედვით, ორივე სქესი, საქართველო 2015-2017⁷

	2015	2016	2017
ტუჩის, პირის ღრუსა და ხახის ავთვისებიანი სიმსივნეები	241	243	190
საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები	1763	1617	1400
სასუნთქი სისტემის და გულმკერდის ღრუს ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები	1201	1107	910
ძვლისა და სასახსრე ხრტილის ავთვისებიანი სიმსივნეები	60	47	38
მელანომა	110	117	90
კანის სხვა კიბო	804	671	523
მეზოთელიური და რბილი ქსოვილები	168	124	111
სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე	1917	1811	1583
ქალის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები	1087	1039	850
მამაკაცის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები	673	521	424
საშარდე სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეები	800	804	772
თვალის, თავის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ნაწილების ავთვისებიანი სიმსივნეები	251	261	200
ფარისებრი და სხვა ენდოკრინული ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნეები	719	900	865
გაურკვეველი, მეორადი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეები	296	289	191
ლიმფოიდური, ჰემოპოეზური და მონათესავე ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები	539	582	501
In situ	202	269	83
სულ	10831	10402	8731

VI.1 ქალებში 5 ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბო

ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების სტრუქტურა 2015-2017 წლებში იდენტურია. ყველა შემთხვევის 32%-ს შეადგენს სარძევე ჯირკვლის კიბო, ხოლო 10-15%-ს - ფარისებრი ჯირკვლის კიბო.

⁷ 2017 წლის მონაცემთა ბაზის მონაცემები

ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე გავრცელებული
ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2017

ლოკალიზაცია	2015		2016		2017	
	შემთხვევების რაოდენობა	წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში (%)
სარძევე ჯირკვალი	1892	32.3	1782	31.5	1541	31.7
ფარისებრი ჯირკვალი	595	10.2	762	13.5	721	14.8
კოლორექტუმი	411	7.0	371	6.6	286	5.9
საშვილოსნოს ტანი	360	6.1	355	6.3	306	6.3
საშვილოსნოს ყელი	344	5.9	350	6.2	254	5.2

VI.1.1 სარძევე ჯირკვლის კიბო ქალებში


კიბოს რეგისტრის მონაცემებით, სარძევე ჯირკვლის კიბო ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბოა ქალებში. ძუძუს კიბოს ინციდენტობის მაჩვენებლები 100 000 ქალზე 97.5-ს შეადგენდა 2015 წელს, 2016 წელს - 91.9-ს და 2017 წელს - 79.6.

ქალებში ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2017

ასაკობრივი ჯგუფები	2015		2016		2017	
	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)
<20	0	0.0	0	0.0	0	0.0
20-24	7	0.4	4	0.2	1	0.1
25-29	9	0.5	15	0.8	12	0.8
30-34	36	1.9	40	2.2	38	2.5
35-39	78	4.1	87	4.9	72	4.7
40-44	144	7.6	148	8.3	120	7.8
45-49	197	10.4	185	10.4	163	10.6
50-54	242	12.8	233	13.1	201	13.0
55-59	280	14.8	283	15.9	225	14.6
60-64	280	14.8	234	13.1	228	14.8
65-69	209	11.0	236	13.2	209	13.6
70-74	169	8.9	121	6.8	106	6.9
75-79	160	8.5	130	7.3	95	6.2
80+	81	4.3	66	3.7	71	4.6
სულ	1892	100	1782	100	1541	100

ახალი შემთხვევების რაოდენობა პრევალირებს 50-70 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში.

ქალებში ძუძუს კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა, საქართველო, 2015-2017




ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების მხოლოდ დაახლოებით 50%-ია გამოვლენილი დაავადების I და II სტადიაზე.

ქალებში ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება დაავადების სტადიის მიხედვით, საქართველო, 2015-2017

	შემთხვევების რაოდენობა			წილი ქალებში რეგისტრირებული ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში (%)		
	2015	2016	2017	2015	2016	2017
I	319	369	298	16.9	20.7	19.3
II	653	572	489	34.5	32.1	31.7
III	495	432	303	26.2	24.2	19.7
IV	295	269	194	15.6	15.1	12.6
უცნობი/შეუვსებელი	130	140	257	1.0	1.7	16.7
სულ	1892	1782	1541	100	100	100

საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობა 100000 ქალზე ნაკლებია, ვიდრე ევროპის რეგიონის და ევროკავშირის მაჩვენებელი და აღემატება დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

ქალებში ბუბუს კიბოს ინციდენტობა 100000 ქალზე



წყარო: ჯანმო-ს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“, დკსჯც

VI.1.2 ფარისებრი ჯირკვლის კიბო ქალებში

ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალ შემთხვევებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მეორე ადგილი უკავია. ზოგადად ყველა ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევების რაოდენობის კლების ფონზე, 2015 წლიდან ქალებში რეგისტრირებული ფარისებრი ჯირკვლის კიბოს როგორც შემთხვევათა რაოდენობა, ასევე ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 ქალზე (2015 - 33.5, 2016 - 42.8, 2017 – 40.8) იზრდება. ასევე 10%-დან 15%-მდე გაიზარდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალ შემთხვევებში. ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბო რეგისტრირებულია თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობის უწყვეტი ზრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვლინდება, თანაც, მატება ძირითადად შეეხება ქალთა პოპულაციას. მსოფლიოში ავადობის ზრდას ადგილი აქვს სიკვდილიანობის არამდგრადი შემცირების ფონზე ორივე სქესისთვის. განარჩევენ ფჯკ–ს ოთხ ჰისტოლოგიურ ჯგუფს: პაპილარული, ფოლიკულური, მედულარული ან ანაპლასტიკური; ფჯკ–ს ავადობის მატებას უმეტესწილად განაპირობებს პაპილარული (არააგრესიული, რომელსაც ახასიათებს ნელი ზრდა) მიკროკაცინომას ჰისტოლოგიური ტიპის გამოვლენის მატება, რომელიც საუკეთესო პროგნოზით გამოირჩევა.

მაღალი ავადობის ქვეყნებად მიიძღნევა ის ქვეყნები, სადაც ქალთა შორის ავადობა 100000 ქალზე 10–ს შეადგენს, საქართველოში კიბოს პოპულაციური რეგისტრის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 39–ს 100000 ქალზე (2016); გლობალურად ფჯკ–ს თანაფარდობა მამაკაცი/ქალი დაახლოებით 1:3,3–ს შეადგენს, საქართველოში დისბალანსი ბევრად მეტია, დაახლოებით 1:6.


ქალებში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2017

ასაკობრივი ჯგუფები	2015		2016		2017	
	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)	შემთხვევების რაოდენობა	წილი საერთო რაოდენობაში (%)
<20	14	2.4	13	1.7	17	2.4
20-24	27	4.5	37	4.9	38	5.3
25-29	64	10.8	66	8.7	63	8.7
30-34	47	7.9	101	13.3	83	11.5
35-39	60	10.1	61	8.0	90	12.5
40-44	60	10.1	80	10.5	78	10.8
45-49	56	9.4	76	10.0	77	10.7
50-54	61	10.3	84	11.0	68	9.4
55-59	79	13.3	100	13.1	55	7.6
60-64	63	10.6	69	9.1	86	11.9
65-69	37	6.2	48	6.3	36	5.0
70-74	15	2.5	15	2.0	17	2.4
75-79	9	1.5	8	1.0	11	1.5
80+	3	0.5	4	0.5	2	0.2
სულ	595	100	762	100	721	100

